ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1134462

ნომერი: AR1196971

თარიღი : 13.02.2014

გაცემის თარიღი : 21.02.2014

გაცნობის თარიღი : 25.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 15 , (ნაკვეთი N1/55) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხმელიძე პ/ნ 01010001589
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 7 ბ. 15

ორგანიზაცია:

- შპს "თეგეტა მოტორსი" კოდი: 202177205

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  რეკონსტრუქცია
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე I კლასის დაცვის ჯიხურის განთავსების, ლითონის ღობის, შლაგბაუმისა და არსებულ ღობეზე მავთულხლართის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულადატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, კახეთის გზატკეცილი #15-ში (ნაკვ. #1/55), შპს " იმედი 2003"–ის კუთვნილ ტერიტორიაზე I კლასის დაცვის ჯიხურის განთავსების, ლითონის ღობის, შლაგბაუმისა და არსებულ ღობეზე მავთულხლართის მოწყობას. თქვენს მიერ განსახოციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.19.21.001.168; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, იჯარის ხელშეკრულება, მესაკუთრის თანხმობა, მინდობილობა, გენგეგმა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, კახეთის გზატკეცილი #15-ში (ნაკვ. #1/55), შპს " იმედი 2003"–ის კუთვნილ ტერიტორიაზე I კლასის დაცვის ჯიხურის განთავსების, ლითონის ღობის, შლაგბაუმისა და არსებულ ღობეზე მავთულხლართის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ღობე უნდა განთავსდეს შპს "იმედი 2003"–ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge